საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების 2020-2022 წლების სტრატეგია

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების, გლობალური და რეგიონული წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის, მათ შორის, მზარდი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) სხვა სათანადო უწყებებთან ერთად საერთაშორისო თანამშრომლობას ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფად. სამინისტრო საერთაშორისო ურთიერთობებს წარმართავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ინტერესების შესაბამისად.

2020-2022 წლების საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგია (შემდგომში - სტრატეგია) განსაზღვრავს სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითად მიზნებს, ამოცანებს, პრიორიტეტულ მიმართულებებსა და მათი განხორციელების მექანიზმებს. სტრატეგია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, სამინისტროს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს, საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს.

საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიული მიზნები და მიმართულებები

სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს:

- ერთიანი, მდგრადი და კოორდინირებული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;
- სამართალდაცვით სფეროში სწრაფი და ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება;
- საზღვრის მართვის სფეროში თანამშრომლობის განვითარება მეზობელ და პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან;
- საგანგებო და გადაუდებელი დახმარების კუთხით სწრაფი და შედეგზე ორიენტირებული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;
- მიგრაციის მართვისა და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის კუთხით ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;
- პარტნიორ ქვეყნებთან საუკეთესო პრაქტიკისა და წარმატებული რეფორმების გაზიარება;

- ❖ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით განხორციელებულ მისიებსა და ოპერაციებში სამინისტროს ჩართულობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სამინისტრო საერთაშორისო თანამშრომლობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- ❖ საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება;
- ❖ ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება;
- ❖ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია;
- ❖ დონორ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- ❖ გატარებული რეფორმის ექსპორტი და გამოცდილების გაზიარება;
- ❖ საერთაშორისო ანგარიშვალდებულება.

1. საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება

სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ორმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებსა და ორგანოებთან საერთაშორისო ხელშეკრულებების ან/და თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების გზით.

სამინისტრო გააგრძელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების ან/და თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- ❖ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში/სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობა;
- ❖ უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიისა და არალეგალური მიგრაციის საკითხებში თანამშრომლობა;
- ❖ საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში თანამშრომლობა;
- ❖ საზღვრის მართვის სფეროში თანამშრომლობა;
- ❖ პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობა;
- ❖ მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში თანამშრომლობა.

ამასთან, მათი განახლების მიზნით, პერიოდულად განხორციელდება უკვე გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ან თანამშრომლობის მემორანდუმების გადახედვა, მათში

სათანადო ცვლილებების შეტანა ან ახალი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან თანამშრომლობის მემორანდუმებით ჩანაცვლება.

2. ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

სამინისტროსთვის პრიორიტეტულია ორმხრივი თანამშრომლობის ეფექტიანი განხორციელება და განვითარება პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვა შესაბამის უწყებებთან. სამინისტრო ორმხრივ საერთაშორისო თანამშრომლობას წარმართავს საერთაშორისო ხელშეკრულებების, თანამშრომლობის მემორანდუმების ან „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ორმხრივი თანამშრომლობა განვითარდება შემდეგი ფორმით:

- მაღალი დონის ორმხრივი საერთაშორისო შეხვედრებისა და ვიზიტების ორგანიზება, რომელთა ფარგლებშიც ხდება თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების განსაზღვრა;
- ორმხრივი სამუშაო ჯგუფების შექმნა და პერიოდულად შეხვედრების გამართვა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;
- პოლიციის ატაშეების არსებული ქსელის შემდგომი განვითარება და ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

სამინისტროსთვის პრიორიტეტულია საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თანამშრომლობის განვითარება ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი ორგანოების მეშვეობითა და საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში. სამინისტრო გააგრძელებს ამერიკის შეერთებული შტატების მხარესთან ყოვლისმომცველ თანამშრომლობას, როგორც ფედერალურ, ასევე შტატების დონეზე. განიხილება ამერიკის შეერთებული შტატების სხვა შესაბამის უწყებებთან ან/და სტრუქტურებთან თანამშრომლობის დამყარება და მისი შემდგომი განვითარება.

სამინისტროსათვის ასევე პრიორიტეტულია ევროკავშირის წევრ და სხვა ევროპულ ქვეყნებთან ეფექტიანი თანამშრომლობის განხორციელება და განვითარება.

ამასთან, სამინისტროსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმატებული ორმხრივი თანამშრომლობის განხორციელება და განვითარება:

- მეზობელ ქვეყნებთან;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან;

- ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან;
- ცენტრალური აზიის ქვეყნებთან;
- აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებთან;
- ლათინური ამერიკის ქვეყნებთან.

3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება

ორმხრივი თანამშრომლობის პარალელურად, სამინისტროსთვის პრიორიტეტულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ეფექტიანი განხორციელება და განვითარება.

სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით, სამინისტროსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირთან და მის სააგენტოებთან თანამშრომლობის განვითარება.

ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოსთან (EUROPOL) თანამშრომლობა ეფუძნება „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ 2017 წელს გაფორმებულ შეთანხმებას.

პოლიციის თანამშრომელთა უნარების ამაღლების, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის მიზნით, სამინისტრო თანამშრომლობს სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოსთან (CEPOL).

სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (FRONTEX). აღნიშნული თანამშრომლობა ეფუძნება 2008 წელს გაფორმებულ სამუშაო შეთანხმებას. თანამშრომლობის სფეროების გაფართოების მიზნით, სამინისტრო განახორციელებს სააგენტოსთან სამართლებრივი ჩარჩოს განახლებას.

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია „სუამთან“ არსებული თანამშრომლობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, სამინისტრო გააგრძელებს „სუამის“ შესაბამის ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში მონაწილეობას.

სამინისტროს ცალკეული დანაყოფები, შესაძლებლობების განვითარების მიზნით, აქტიურად გააგრძელებენ შესაბამის რეგიონულ ასოციაციებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

4. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია

4.1. ევროინტეგრაცია

ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნით, სამინისტრო უზრუნველყოფს ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულებას, კოორდინაციასა და ანგარიშგებას. კერძოდ, სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს შეთანხმების შემდეგი მიმართულების განხორციელებას:

- პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა;
- თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში;
- თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება;
- თანამშრომლობის სხვა სფეროები.

სამინისტრო განაგრძობს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის N765 განკარგულებით დამტკიცებული „ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიითა“ და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ხელშესახებ მიღწევას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. შესაბამისად, უვიზო მიმოსვლის ეფექტიანი განხორციელებისთვის, სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, განაგრძობს მისი ამოქმედების შემდგომი პროცესის მონიტორინგს.

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინიციატივის ფარგლებში არსებული ვალდებულებების განხორციელების და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, სამინისტრო მონაწილეობს შესაბამის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში.

სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, გააგრძელებს ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში საქართველოს ჩართულობის გაძლიერებას ევროკავშირთან საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავებით.

საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, პრიორიტეტულია ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატთან (DG ECHO) თანამშრომლობის გაღრმავება. თანამშრომლობა ეფუძნება 2018 წელს გაფორმებულ ადმინისტრაციულ შეთანხმებას. აღნიშნული მიმართულებით სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმში (UCPM) გაწევრიანება.

4.2. ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია

ნატოში გაწევრიანება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მიზნით, სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში ეფექტიანად ახორციელებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ინსტრუმენტებს. შესაბამისად, სამინისტრო განაგრძობს წლიური ეროვნული პროგრამისა (ANP) და დაგეგმვის და მიმოხილვის პროცესით (PARP) გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას.

ამასთან, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში, სამინისტრო ახორციელებს საზღვაო უსაფრთხოების ინიციატივას. ნატოსთან ურთიერთთავსებადობის ამაღლების მიზნით, სამინისტრო უზრუნველყოფს ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობასთან (MARCOM) თანამშრომლობის გაღრმავებას და ნატოს ოპერაციათა შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის (OCC E&F) სრულად გამოყენებას.

ნატოსთან ინფორმაციის ეფექტიანი გაცვლისა და კოორდინაციის შემდგომი გაძლიერების მიზნით, სამინისტრო გააგრძელებს თანამშრომლობის გაღრმავებას ნატოს გაერთინებულ საზღვაო სარდლობასა და ნატოს შტაბ-ბინაში მივლენილი მეკავშირე ოფიცრების მეშვეობით.

ნატოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, სამინისტრო აქტიურად მუშაობს შავის ზღვის უსაფრთხოების გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი განაგრძობს ნატოს მუდმივმოქმედი შენაერთების მიღებას საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და მათთან ერთად ერთობლივი წვრთნების ჩატარებას.

მუშაობა გაგრძელდება ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრსა (JMOC) და ნატოს ნაოსნობის ცენტრს (NATO Shipping Centre) შორის ინფორმაციის მიმოცვლის შემდგომ განვითარებაზე.

5. დონორ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაღრმავება

სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების მიზნით, პრიორიტეტულია დონორ ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვა. სამინისტროს სტრატეგიული მიზნებისა და განვითარების ხედვის, ასევე, საერთაშორისო ჩარჩო-დოკუმენტებით აღებული ვალდებულებების საფუძველზე მიმდინარეობს პროგრამებისა და პროექტების შემუშავება. აღნიშნულის შედეგად ხორციელდება

სამინისტროს ინსტიტუციური განვითარება, ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება, თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება.

6. გატარებული რეფორმების ექსპორტი და გამოცდილების გაზიარება

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასთან ერთად, სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია არსებული გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკისა და რეფორმების ექსპორტი სხვა ქვეყნებში.

7. საერთაშორისო ანგარიშვალდებულება

საერთაშორისო ანგარიშვლადებულების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრო განაგრძობს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების თაობაზე პერიოდული ანგარიშების მომზადებას. ამასთან, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოებთან, და უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

8. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და კოორდინაცია

სამინისტრო სტრატეგიას ახორციელებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმით, რომლის ეფექტიანი შესრულების მონიტორინგი წლიური ანგარიშების საფუძველზე განხორციელდება. მონიტორინგის საფუძველზე დადგინდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ეფექტიანობა და გამოვლინდება მათი განხორციელების პროცესში არსებული კონკრეტული ხარვეზები და გამოწვევები. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. წინამდებარე მიზნებისათვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი პასუხისმგებელი დანაყოფებიდან წელიწადში ორჯერ ითხოვს ინფორმაციას განსახორციელე-ბელი ღონისძიებების შესრულების პროგრესის შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი წელიწადში ერთხელ მოამზადებს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს და წარუდგენს კურატორი მინისტრის მოადგილეს.